ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი"

NOSCE TE IPSUM

საქართველო, ქ. თბილისი 0162, ილ. ჭავჭავაძის გამზ. 53ა, ტელ./ფაქსი: 225-82-43, ს/კ 205233022, www.sangu.edu.ge

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-02/265

ქ. თბილისი 13. 11. 2013

„ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ" რექტორის 2013 წლის 16 სექტემბრის №02-02/156 ბ რძანების ნაწილობრივ ბათილად ცნობის შესახებ

„სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულებისა და სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტის განაწილების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 22 აპრილის N227 ბრძანებით დამტკიცებული „სამაგისტრო გამოცდების ჩატარების დებულების" მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის, „2013 წელს საერთო სამაგისტრო გამოცდებისათვის მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის განსაზღვრისა და საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულების შესაბამისი საერთო სამაგისტრო გამოცდის ტესტის განსაზღვრის შესახებ" სსიპ გამოცდების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2013 წლის 4 აპრილის №46-13 ბრძანების, ამავე ცენტრის დირექტორის 2013 წლის 29 ოქტომბრის №1894/13 წერილის, (ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის წესდების მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ბათილად იქნეს ცნობილი „ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში" 2013-2014 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში აკადემიური განათლების მეორე საფეხურზე -

მაგისტრატურაში კონკურსანტთა ჩარიცხვის შესახებ" რექტორის 2013 წლის 16 სექტემბრის №02-02/156 ბრძანების:

ა) 1.1 პუნქტის მე-6 ქვეპუნქტი (ლევან ჭელიძე საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბიზნესის ადმინისტრირება");

ბ) 1.3. პუნქტის მე-2 ქვეპუნქტი (თინათინ ესებუა საგანმანათლებლო პროგრამა ,,ფსიქოდიაგნოსტიკა და კონსულტირება");

2. ლევან ჭელიძესა და თინათინ ესებუას სრულად დაუბრუნდეთ სწავლის წლიური საფასურის გადახდილი ნაწილი - თითოეულს 1125 (ათასასოცდახუთი) ლარის ოდენობით;

3. დაევალოს უნივერსიტეტის ბუღალტერიას უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების მე-2 პუქნტის შესრულება;

4. ბრძანება გაეგზავნოთ: სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრს, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს;

5. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს - კანცლერს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს, ბუღალტერიას, იურიდიულ სამსახურს; ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს, ენების ცენტრს,

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი

პროფესორი ს. ვარდოსანიძე